№ 135

შაბათი, 24 ივნისი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 135

შაბათი, 24 ივნისი, 1900 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**თავ. ლევან ამირინდოს ძე და დედა მისი კნეინა ქეთევან სვიმეონის ასული ციციშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და გულ-შემატკივარ ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარის მეუღლისა და მეორე ძვირფასის რძლის

## კნეინა ეკატერინესას

და სთხოვენ პატივისცენ და მობრძანდნენ კვირას, 25 ამ თვისას, დილის ათ საათზედ, განსვენებულის გვამის დასაკრძალავად სოფ. წრომში. (2—35—1)

**„ივერიის" რედაქციისაგან.**

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**ვ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ვ. გ. წერეთელი,** 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი-

4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**მ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაქს", ავცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## მკურნალი
## ვ. გ. წერეთელი

ი ღ ე ბ ს

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 საათამდის.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

## ქუთაისის ჭაჭვიცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—21)

## ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს, 22 ივნისს, ქალაქის გამგეობაში, ქალაქის მოურავის გ. გ. ევანგულოვის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას, რომელზედაც ამორჩეულ იქმნენ ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებისათვის მასწავლებელნი. აი ახალ მასწავლებელთა გვარები: ქ-ნი ქიტოშვილისა, პილოვისა, ჩიქოვანისა, ქალანთაროვისა, კრუპენიკოვისა, აფანასიევისა, ბოგდანოვისა, კოშელიევისა, გრიქუროვისა, ნიკოლაძისა, ნასიძისა, პარონ-სარქისოვისა, ხოლო მათ კანდიდატებად: ხმიადოვისა, შეინოვისა, ვორონოვისა, ივანოვისა და პეტროვისა. ამასთანავე კომისიამ დაადგინა მიანდოს ქალაქის გამგეობის წევრს ბ-ნ შესტაკოვს შეკრიბოს ამორჩეულ მასწავლებელთა და მათ კანდიდატთა შესახებ ცნობები. ქალაქის სასწავლებლების გამგეს კომისია ამოირჩევს შემდეგს მორიგს კრებაზედ, სამშაბათს, 27 ივნისს.

*** დღემდის ტფილისის სასულიერო სემინარიის შეუძლებელი და უდედმამო მოწაფენი საზაფხულოდ ისევ სემინარიაში რჩებოდნენ ხოლმე და ამ რიგად ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში სულს ველარ იბრუნებდნენ; ახლა-კი სემინარიის მთავრობას ეს მოწაფენი საზაფხულოდ ახტალის მონასტერში გაუგზავნია.

*** ტფილისის რეალურ სასწავლებელში წელს სწავლა დაამთავრა სულ 29 კაცმა, რომელნიც, ორის გარდა, ყველანი უმაღლეს სასწავლებელში აპირობენ სწავლის განგრძობას. სწავლა-დასრულებულთა შორის 14 რუსია, 8 სომეხი, 3 პოლონელი, 2 ნემეცი და 2 ქართველი: იოსებ ცოტაძე და ბესარიონ ჰკუასელიძე.

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

როგორ სცხოვრობს ჩინეთის იმპერატორი. — ჩინელი ქალები. — თვით-მკვლელობა ჩინეთში.—ჩინური დუელი.—პარიჟის რესტორანები.—კაცის-მჭამლობა კონგოში.—რა გავლენა აქვს საზრდოს ადამიანის ხასიათზედ.—მეცნიერთა აზრი გძელის კაბების შესახებ.

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ჩინეთის იმპერატორის სასახლე განსაკუთრებულ, გალავან შემორტყმულ, უბანშია მოთავსებული. ამ უბანს სახელად საიმპერატორო ქალაქი ეწოდება. სულ სცხოვრობს იქ 8000 კაცამდე: დარაჯნი, ჯარის-კაცნი, მოსამსახურენი და სხვანი. იქვეა იმპერატორის ჰარამხანაც. ყველაფერი ამ ქალაქში სასტიკს ეტიკეტს ემორჩილება.

იმპერატორი მეტად იშვიათად გამოდის თავისს ოთახებიდგან. 400 მილიონის მბრძანებელსა და „ზეცის შვილს" (სხვათა შორის ასეც ეძახიან იმპერატორს) საკუთარს სასახლეშიაც-კი თავისუფლად მოქმედების უფლება არა აქვს: იმპერატორი კერძო ცხოვრებაშიაც ეტიკეტის მოთხოვნილებასა და წესებს ემორჩილება, იმ წესებს, რომელიც ეგრედ წოდებულ „ცერემონიების წიგნშია" აღნიშნული. ასე გასინჯეთ, იმპერატორს თავისს ცოლებთანაც არ შეუძლიან შესვლა. აქაც წესი და რიგია მიღებული. იმპერატორს სულ 200 ცოლი ჰყავს (ამათში მხოლოდ ერთია კანონიერი და იმპერატრიცადაც ის ითვლება). როდესაც „ზეცის შვილი" რომელსამე ცოლთან ყოფნას მოისურვებს, პატარა ყუთს მიართმევენ ხოლმე. ყუთს 200 უჯრა აქვს, რომლებზედაც ცოლების სახელებია ამოჭრილი, თითოზედ თითო სახელი. იმპერატორი ერთ-ერთ უჯრას ხელს დაადებს და მეორე ოთახში გავა. მორიგი კარის-კაცი მაშინვე იმ ცოლის ოთახთან, რომლის სახელიც უჯრაზეა აღნიშნული, ვარდის ფერ ფარანს ანთებს და ქალს ამით აგებინებს, იმპერატორი გიბარებსო. შემდეგ როდესაც ქალი ტანისამოსს ჩაიცვამს და მოირთვება, კარის-კაცმა ზურგზედ უნდა აიკიდოს და ისე შეიყვანოს იმპერატორის ოთახში.

თუ იმპერატორმა ხილი მოისურვა, მზარეულმა ჯერ კალენდარში უნდა ჩაიხედოს და გაიგოს, რა დღეს რა ხილი ეჰმევა იმპერატორს, და შემდეგ მიართვას ეს ხილი. თუ მადა მოუვიდა და საჭმელი მოუნდა, იმ წამსვე სასახლის ექიმს მოუწოდებენ. ექიმი გამოიანგარიშებს, რამდენი უნდა მიირთვას იმპერატორმა. სადილის დროსაც ათასი წესი და რიგია მიღებული. სასადილო ოთახში იკრიბება ამალა იმპერატორისა, იქვე არიან კარის-კაცნიც. როდესაც იმპერატორი ტახტზედ დაბრძანდება, შედის მოსამსახურე და აფიცრის დახმარებით სასადილო სტოლსა სდგამს იმპერატორის წინ. შესვლის დროს მოსამსახურემ ცხრა-ჯერ უნდა თავი დაუკრას და ხუთჯერ დაიჩოქოს. პირველად იმპერატორს ჩაის მიართმევენ ხოლმე, შემდეგ სხვა და სხვა საჭმელებს, ხშირად 40, 60 და 100 თასს.

როდესაც იმპერატორი წყალსა ჰსვამს, იქ მყოფთ პირი უეჭველად დასავლეთისაკენ უნდა მიიბრუნონ. სადილზედ მიწვეულთ არ შეუძლიანთ ხელი დააკარონ რასმეს, უნდა ისხდნენ და უყურონ, როგორ მიირთმევს მისი უდიდებულესობა. მხოლოდ მახლობელ ნათესავებს შეუძლიანთ იმპერატორთან ერთად ორი ან სამი ლუკმა გადაჰყლაპონ. ასეთ ტუსაღურ ცხოვრებაშია ჩინეთის იმპერატორი.

***

ამ შემთხვევაში იმპერატორი ისეთივე მონაა ეტიკეტისა და ცერემონიებისა, როგორიც ჩინელი ქალი ქმრისა. ჩინეთში ქალს არავითარი უფლება არა აქვს. იგი ნივთია ქმრის ხელში. ქმარი რასაც უნდა, იმას უზამს, გაჰყიდის კიდეც. ჩინელების აზრით ქალს ჭკუა არა აქვს.

ქალის სახელი უცნაური იციან ჩინეთში. ამგვარი სახელებია მიღებული იქ: ცუდი ქალი, ბედნიერი ქალი, სიყვარული, სარწმუნოება, იმედი, სიხარული, დინჯი, ჭკუჰყიანი და სხვა. ჩინელ ქალებს ძალიან უყვართ კოხტაობა და თავის მორთვა-მოკაზმვა. ლამაზ ქალად ის ითვლება ჩინეთში, ვისაც პატარა ფეხები აქვს. ამ რიგად იქ ქალის სილამაზის საზომი ფეხებია. ფერ-უმარული ისე არსად არ არის მიღებული, როგორც ჩინეთში. საზოგადოდ-კი ჩინელი ქალი მეტად უშნო, ულამაზო და მოუხეშავი რამ არის. მაღალ საზოგადოების ქალებს ფეხები ისე აქვთ დამახინჯებული, რომ უჯოხოთ ან უმოსამსახუროდ სიარული არც-კი შეუძლიანთ.

ამ საზოგადოების ქალები თითქმის დილით საღამომდე არაფერს აკეთებენ. იმათი უმთავრესი საქმე მორთვა-მოკაზმვა და სხვა-და-სხვა ტკბილეულობის მირთმევაა. სოფლელი ქალი-კი, განსაკუთრებით ღარიბის ოჯახის ქალი, ბევრსა ჰმუშაობს. ხელ-საქმე სამაგალითოდ იცის ჩინელმა ქალმა. მოზრდილ, გასათხოვარ ქალს სახლიდგან გარედ სულ არ უშვებენ. ქალს პატარაობითვე ნიშნავენ, მაგრამ იშვიათი მოვლენაა, რომ ქორწინებამდე ჩინელმა ქალმა საქმრო ჰნახოს.

თუმცა ყმაწვილი ქალები და კაცები იშვიათად ჰხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ გარყვნილება ჩინეთში მაინც ძალიან არის გავრცელებული.

***

ჩინეთში თვით-მკვლელობა ძალიან არის გავრცელებული. თავის მოკვლის მიზეზი უმეტესად მტრის ჯავრის-ამოყრაა ხოლმე. შურის-ძიება ჩინელის აზრით მხოლოდ თავისს მოკვლით შეიძლება. ჩვენში, როდესაც შურს იძიებს ვინმე, მოწინააღმდეგესა ჰკლავს, ჩინეთში-კი თვით ისპობს სიცოცხლეს. ჩინელს თუ ვისმეს ჯავრის ამოყრა უნდა, წავა და იმის კარ წინ თავს მოიკლავს. თავის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ როგორც გვატყობინებენ, ამ უკანასკნელს ორ დღეში დიდს ნიაღვრებს ისე გადაურეცხია რკინის გზის ლიანდაგი ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ მარელისსა და ბეჟლაგორს შუა, რომ გზის შეკეთებამდე მატარებლების მიმოსვლა შეუჩერებიათ.

⁂ სამშაბათს, 20 ივნისს, ტფილისში ჩამოვიდა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი დენეტი; აქედგან დენეტი ბაქოსა და კასპიის იქითა მხარეში წავა. დენეტს აზრად საარქეოლოგო გამოკვლევანი აქვს.

⁂ ფოსტა-ტელეგრაფის ინსპექტორი ბ-ნი ლეიფნერი ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაშია სარევიზიოდ. აქედგან ლეიფნერი ბათუმსა, ფოთსა და სუხუმში წავა სარევიზიოდ და მერე უკან დაბრუნების დროს ბორჯომსა, ახალციხესა და აბასთუმანში გაუკეთებს რევიზიას საფოსტო დაწესებულებათ.

⁂ სამოქალაქო უწყების კავკასიის სამკურნალო ნაწილის სამმართველოს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ საბებიო ინსტიტუტის მორიგ მკურნალთა ჯამაგირების ხარჯი მიმდინარე წლის დამლევამდე სათადარიგო საერობო თანხას მიეწეროს.

⁂ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ასის წლის შესრულების დღის სამახსოვროდ, როგორც მოგეხსენებათ, ქალაქის გამგეობაში რამდენიმე პროექტი იქმნა წარდგენილი; ამათგან ქალაქის მოურავმა შეიტანა წინადადება „ტფილისის თვითმართველობის ისტორია“ შეედგინათ ამ დღის სამახსოვროდ, ხმოსანმა ვ. დ. ყორღანოვმა ურჩია ქალაქის შუა-გულ ადგილას ძეგლი დაედგათ ნიშნად იმისა, რომ რუსეთის მფარველობის ქვეშ ეს ჩვენი მხარე კულტურულად განვითარდა, ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა შეიტანა წინადადება როგორც კავკასიისა და ამიერკავკასიის შუა-გულ ქალაქში, ტფილისში გამოსადეგ ცოდნათა მუზეუმი დაეარსებინათ ისეთივე, როგორიც მოსკოვის პოლიტექნიკუმის მუზეუმია, ხოლო გ. მ. თუმანოვმა ურჩია ამ დღის სამახსოვროდ ტფილისში საპოლიტეხნიკო ინსტიტუტი გახსნან. ამ პროექტებს ამ ჟამად ერთი კიდევ სხვა თურმე ემატება: ერთი ხმოსანთაგანი ურჩევს თურმე გამგეობას ამ დღის სამახსოვროდ გადამდებ სენით ავადმყოფთა და შეშლილთათვის საავადმყოფო იქმნას დაარსებული.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ნება დაურთავს, რომ შავის-ქვის მწარმოებელთა მესამე მორიგი კრება 26 ივლისისათვის იქმნას გადადებული.

⁂ მაისის განმავლობაში ბაქოს ნავთის წყაროებიდგან 49,400,000 ფუთი ნავთი ამოსულა, 6,340,000 ფუთით მეტი, ვიდრე აპრილში.

⁂ მოსკოვში ახლად დაარსებულს დედათა უმაღლეს კურსებზე მიიღებენ ყველა იმათ, ვისაც კურსი დაუსრულებია ქალთა გიმნაზიებსა; ინსტიტუტსა და მათ თანასწორ საშუალო სასწავლებელში. იმ ქალთ, რომელთაც თავისს დედ-მამასთან ან ნათესავებთან ცხოვრება არ შეეძლებათ მოსკოვში, უთუოდ საერთო სადგომებში უნდა იცხოვრონ, რომელნიც კურსებთან იქმნებიან დაარსებულნი. კურსები შესდგება ორის განყოფილებისაგან: ისტორიულ-ფილოლოგიურისა და საფიზიკო-სამათემატიკო განყოფილებისაგან. სწავლა გაგრძელდება ოთხ წელიწადს. სწავლის ფასი 100 მანეთია წელიწადში; საერთო სადგომში ცხოვრება 300 მანეთი ეღირება. ვისაც კურსებზედ შესვლა ჰსურს, კურსების დირექტორის სახელზედ უნდა გამოგზავნოს თხოვნა არა უგვიანეს 1-ის აგვისტოისა; თხოვნაში აღნიშნულ უნდა იქმნას: ა) რომელ სასწავლებელში [იქონ]ია მთხოვნელმა სწავლა; ბ) რომელის დაასრულა კურსი; გ) როგორი მოწმობა ან ატესტატი მიიღო; დ) კურსების რომელს განყოფილებაზედ უნდა შესვლა და ე) დაწვრილებითი ადრესი. თხოვნა უნდა გაიგზავნოს მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიაში და კონვერტზე უნდა ეწეროს რუსულად „დედათა უმაღლეს კურსებზედ“; პასუხისათვის მარკა უნდა გაიგზავნოს.

ყოველს წელს კურსებზედ 150 ქალი მიიღება.

⁂ ამ ზაფხულს ტფილისში ჩამოსვლას აპირებს კავკასიის კარგად მცოდნე ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ნ. კრასნოვი. კრასნოვი ივლისში ჩამოვა და თან რამდენსამე სტუდენტს ჩამოიყვანს, რომელთაც კავკასიის ბატანიკურად გამოკვლევა და შესწავლა აქვთ აზრად.

⁂ კავკასიის რკინის გზა მალე სულ ახალის კონსტრუქციის ორთქლმავალს მიიღებს, რომელიც მთა-გორიან ადგილებში სავლელად არის გამოგონილი. აღნიშნულს ორთქლმავალს სპეციალისტთა კომისსია გასინჯავს.

⁂ 30 ივნისს 25 წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ქუთაისში ქალაქის დებულება იქმნა შემოღებული. ქუთაისის დღესასწაულობის გარდახდას თურმე აპირებს.

⁂ გუშინ, სადამოთი, დიდის წვიმისაგან მოსკოვის და კალოუბნის ხიდკებში ისეთი დიდი ნაღვარი მოვარდა, რომ ზოგიერთებს წყალი სახლებშიაც შეუვარდა. წყალმა მთიდგან იმდენი ქვა ჩამოიტანა, რომ ქუჩები მთლად შეჰკრა. საზოგადოდ ვისგანაც ჯერ არს ყურადღება მიექცეს შემდეგს გარემოებას: ესრედ წოდებულ „წყაროს უბნის“ მცხოვრებნი ამ უბნის ხევში თითქმის მთელის წლობით ჰყრიან ნაგავსა და აქცევენ წყალს, ასე რომ ორ საჟენამდე მაღალი ხევი სულ ნაგვით ივსება ხოლმე. წვიმების დროს მოვარდნილი ნაღვარი რეცხს ხევს და სულ გოლოვინის პროსპექტზედ ფოსტის სადგურის პირდაპირ ჩამოაქვს ხოლმე.

⁂ 20 ივნისს, როდესაც თამამშევის ქარვასლაში საგალანტერეო საწყობის პატრონი ტერ-ოჰანეზოვი სახლში დაბრუნებულა, შეუნიშნავს, რომ მისს ნოქარს ქურქჩიშვილს ჯიბეში რაღაცა აბრეშუმის წითელი ლენტი უდევს. ტერ-ოჰანეზოვმა მაშინვე ეჭვი შეიტანა, ნოქარი უთუოდ საქონელს მპარავსო და სხვა ნოქრების თვალწინვე გაჩხრიკეს ქურქჩიშვილი, რომელსაც პალტოსა და შარვლის ჯიბეებში, აგრეთვე იდლიის ქვეშ სხვა-და-სხვა მონაპარავი ტისმები და ლენტები გამოაჩნდა, სულ 52 მ. ღირებულობისა. ამის შემდეგ ქურქჩიშვილს პოლიციამაც გაუჩხრიკა სახლი და აღმოჩნდა, რომ მას წინადაც მოუპარნია 2 აბრეშუმის შარფი, 2 ნაჭერი ჩესუჩა და 8 დუჟინი ჩულქი, სულ 64 მანეთისა, ქურქჩიშვილი გამოტყდა, რომ პირველი ნივთები მართალია მოვიპარეო, მაგრამ შინ ნაპოვნ ნივთების მოპარვაზედ უარი სთქვა.

## წერილი საინგილოდგან.

უოველი მასწავლებელი, რომელიც-კი თავისს საქმეს სიყვარულით უჰქერის, რომელსაც ხალხის კეთილ-დღეობისათვის გული უძგერს და საინგილოს პირველ დასაწყისი სკოლები გაუცვნია, ან კიდევ მათში უმსახურია, უეჭველია, დააკვირდებოდა იმ არა-სასიამოვნო მოვლენას, რაც არის ესე დაქვეითებული სწავლის საქმე შედარებით ქართლ-კახეთისა და იმერეთის სკოლებთან? რა არის უმთავრესი მიზეზი ასეთის ჩამორჩენისა? იქნება იფიქროთ, რომ ინგილოები, შედარებით სხვა ქართველებთან, მოკლებულნი იყვნენ ბუნებითს ნიჭსა და ამიტომ დაქვეითდნენ ეს სასწავლებელნი, ანუ მიზეზი თვით მასწავლებლების უმზადებლობა, გულგრილობა, უზრუნველობა და უყურადღებობა იყოს? მართალია, შეიძლება მასწავლებელთა შორის მოიპოვებოდნენ ისეთნიც, რომლებსაც თავიანთი საქმე და დიდი მოვალეობა კარგად არ ესმოდეთ და, თუ ესმით, სულით და გულით არ ეკიდებოდნენ საქმეს, მაგრამ უმეტესი ნაწილი მათგანი მომზადებულია ამ საქმისათვის, სიყვარულით უმზერს თავისს მოვალეობას, არა ჰზოგავს არავითარს შრომასა და ზრუნავს ხალხის საკეთილდღეოდ. ეს უოველივე მტკიცდება მით, რომ როგორც ხალხი, ისე სამოსწავლო [მთ]ავრობაც ბევრს მათგანს მადლობას უძღვნის მათის თავ-გამოდებულისა და ამაგალითო სამსახურისათვის კიდევ ამეორებ: რა არის მიზეზი ამ გვარის [უკ]ან დაწევისა და რას უნდა მიეწეროს ესეთი არა სასიამოვნო გარემოება? პირველი და უმთავრესი მიზეზი ამისა ბავშვის შინაური აღზრდაა საინგილოში და შინაური აღმზრდელნიც ბავშვისა, ხომ მოგეხსენებათ, მისი დედ-მამაა. მაგრამ საქმეს დავუკვირდეთ: აქვს თუ არა ეხლანდელს ინგილო-დედას მინიჭებული ის უფლებანი ოჯახში, შედარებით უწინდელ დედებთან, რომ მან მამულს ნამდვილი მოქალაქე, სასარგებლო შვილი აღუზარდოს და სიყმაწვილითვე ბავშვს კეთილ-შობილური ღირსებანი: ღვთის შიში, სიყვარული, სამართლე, პატივის-ცემა, ცნობის მოყვარეობა, მორჩილება და სხვა გაუღვივოს?.. როგორც გვასწავლის თვით მეცნიერება და ჰმოწმობს ამას დიდებული პედაგოგი კომენსკი, ამ ღირსებით გვაჯილდოვებს თვით ბუნება. მაგრამ მშობელნი და მასწავლებელნი ამ ბუნებით მიდრეკილებათ ჯეროვნად ვერ ვავითარებთ, ვახშობთ ბავშვში.

ეხლანდელი ინგილო დედა სრულიად გადაგვარებულა: იგი გამხდარა თითქმის უსულო საგნად, გასაყიდ საქონლად, უოველივე პირადი უფლება დიასახლისისა დაუკარგავს, თავისს საკუთარს ოჯახში სრულიად ხმა აღარა აქვს. იქამდის მისულა მამა-კაცი და ისე შეუკვეცია ფრთები დედათა უფლებისთვის, რომ დედა-კაცს ნება არა აქვს მამა-კაცთან ერთად ისაუზმოს, ოჯახის ავ-და კარგი გაიცნოს, გაიგებინოს, ჭირსა და ლხინში გვერდით ამოუდგეს და მასთან ერთად ულუკმა სწიოს. სხვა-და-სხვა ისტორიულს მიზეზებს ასეთს უკიდურეს მდგომარეობაში ჩაუგდია დღეს ინგილოს ოჯახი, დედა-კაცის პატივისცემა ისე დაცემულა და შელახულა, რომ როდესაც მამა კაცი ცეცხლთან თბება, დედა-კაცი ცეცხლს ვერ მიეკარება, არამედ ზურგს რომელსამე კუთხეში და იქიდგან იყურება; ან არა და, გარეთ გადის. მამა თავისს დღეში შვილს ხელში არ აიყვანს და არ მიუალერსებს. დედას კიდევ იმდენი დრო არა აქვს, რომ შვილს მიხედოს და მოუაროს. უმაწვილზედ-კი, ხომ მოგეხსენებათ, დედ-მამის მიალერსება როგორ ჰმოქმედებს და როგორ აღვიძებს და ანავარდებს მის სულსა და გულს! ამ ნაირად უმაწვილი იზრდება ღვთის ანაბარად და

---

მკვლელს სჯერა, რომ იმისი მოწინააღმდეგე სულიერად დაისჯება, სინიდისი მოსვენებას აღარ მისცემს და მუდამ ტანჯვაში იქმნება. ხშირად თავის მოკვლის მიზეზად ეს ტანჯვაცა ჰხდება ხოლმე, ე. ი. ის აზრი, რომ ჩემის მიზეზით სხვამ მოიკლა თავიო. ისეთი მაგალითიც ხშირია, რომ ვაჭარი თავისს მეტოქის დუქნის წინ იკლავს თავს და ამით აგებინებს, რომ შენმა მეტოქობამ წუთი სოფელს გამომასალმაო. ამასთან თავის-მკვლელი ყოველთვის ბარათსა სტოვებს. ამ ბარათში დაწვრილებით აღნიშნულია ხოლმე ის მიზეზები, რომელთა წყალობითაც თავის-მოკვლა განიზრახა ჩინელმა.

ძალიანაა თავის-მოკვლა გავრცელებული გათხოვილ ქალებს შორის. თითქმის ყოველთვის ასეთი ქალი დედამთილის ჯავრის ამოსაყრელად იკლავს თავს. მაღალ საზოგადოებაში ხშირად თავის-მოკვლის მიზეზი შეურაცხება და პატრონების შელახვაა ხოლმე.

ჩინელები ძალიან ცუდის თვალით უყურებენ იმას, ვინც ოდესმე სხვის თავის მოკვლის მიზეზად გამხდარა. ასეთ კაცს სახლში აღარ იღებენ, ხელს აღარ ართმევენ და, საზოგადოდ, იმასთან თითქმის აღარავითარს საქმეს აღარ იჭერენ. იქ ამნაირ კაცს ისე უყურებენ, როგორც ჩვენში მკვლელს.

⁂

სხვა ზნე-ჩვეულებათა შორის ღირს საყურადღებოა ჩინური დუელიც. ეს დუელი არაფრით არა ჰგავს ევროპიულ დუელს. ჩინელები დუელის დროს არც ხმალსა ჰხმარობენ, არც დამბაჩას, არც რევოლვერს და არც სხვა რამ იარაღს. ერთად ერთი იმათი იარაღი ენაა. მოწინააღმდეგენი დანიშნულ ადგილას გადიან, ერთმანეთის წინ დგებიან და იწყობენ ჩინურ ბრძოლას, ხოლო ჩვენებურ ლანძღვა-გინებას. ვინც ადრე დაჩუმდება, დამარცხებულადაც ის ითვლება. ერთის სიტყვით, ჩინური დუელი ჩვენებურ შაირობასა ჰგავს.

⁂

ამას წინად პარიჟში შემდეგი ამბავი მომხდარა. როგორც ვუწყით, პარიჟის გამოფენაზედ ჩინელებს საკუთარი განყოფილება აქვთ. ამ განყოფილების მოსაწყობად მუშები ჩინეთიდგან ჩაიყვანეს პარიჟში. ერთ დილას ერთი ჩინელი მუშა, სახელად პე-კი-ლო-სანგი, —რუსეთის პავილიონის წინ უნახავთ მიწაზედ გაშხლართული და გულ-წასული. საწყალს პირიდგან, ყურებიდგან და ცხვირიდგან სისხლი თქრიალით დისდიოდა თურმე. მაშინვე ჩინელი საავადმყოფოში წაუყვანიათ, ამასთან პოლიცია გამოძიებას შესდგომია. მალე ეჭვი პოლიციას ჩინელ მუშაზედვე, ლონგ-სი-ტუონგზედ, მიუტანია. როდესაც პე-კი-ლო-სანგი გონს მოუყვანიათ და ლონგ-სი-ტუონგისთვის ჩვენება ჩამოურთმევიათ, ყველაფერი გამორკვეულა: თურმე ჩინელებს სასტიკი „დუელი“ ჰქონიათ, მთელი ოთხი საათი იდგნენ თურმე და ერთმანეთს აგინებდნენ, პე-კი-ლო-სანგს ვერ აუტანია ასეთი ხანგრძლივი „ბრძოლა“, სისხლი თავში აჰვარდნია და გული წასვლია.

⁂

პარიჟში დიდის გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ ყურს ჩინელ მუშებს. ხშირად რესტორანში, სადაც ჩინელი სადილად შედიოდა, მთელი ბრბო იყრიდა თავს, ყველას უნდოდა ენახა, ჩინელები როგორა სჭამდნენ სადილს. ჩინელს საზოგადოდ ცოტა ჰყოფნის და პარიჟში ყოველთვის უკვირდათ, ასე ცოტა საჭმელი როგორ აკმაყოფილებს ჩინელსაო. ამ გაკვირვებას საფუძველი აქვს: რაც ერთად-ერთ პარიჟში სანოვაგე სადდება, იმდენი მგონი ჩინეთის მთელ პროვინციას არ უნდება.

აი სტატისტიკა რას მოგვითხრობს. 1897 წელს პარიჟში დაუკლავთ: 200,000 ხარი, 90,000 ძროხა, 269,000 ხბო და 1,140,000 ცხვარი. იმავე წლის განმავლობაში პარიჟს მოუნდა თურმე 350,000,000 კვერცხი, 20,000 კილოგრამმა *) ყველი, ამდენივე ერბო, 30,000 კილ. თევზი და სხვ. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამ გამოფენის დროს პარიჟს ერთი ათად მეტი სანოვაგე დასჭირდება.

ჭამა-სმაში პარიჟელებს ხალხი ვერ შეედრება. ეს ქალაქი განთქმულია თავისის რესტორანებით. უფრო საყურადღებოა არისტოკრატიული, მდიდრული რესტორანები, ამ რესტორანებში თავს იყრიან ევროპის უპირველესი არისტოკრატნი და მდიდარნი. უბრალო სადილი იქ 8—10 მანეთზედ ნაკლებში არ დაგიჯდებათ. ასეთი რესტორანები მართლა რომ მდიდრულად არის მორთული.

არის ისეთი მდიდრული რესტორანები პარიჟში, სადაც პირველ მზარეულს წელიწადში 2, 3, 4 და 5 ათასი მანეთი ეძლევა. ასეთი მზარეული ხელს არაფერს აკარებს, ამაყად დადის სამზარეულოში და ხელმძღვანელობას უწევს უთვალავ თანაშემწეებს და ხელ-ქვეითებს.

არისტოკრატიულ რესტორანის მენიუ (საჭმელების სია) ხამ კაცს თვალებს აუჭრელებს. უბრალო საჭმელსაც კი რამე ეშმაკური და თავ-სატეხი სახელი აქვს ხოლმე გამოგონილი.

არის ისეთი რესტორანებიც, სადაც სადილი საოცრად იაფია. პირველ ხანს იქ შესული კაცი გაჰკვირდება კიდეც და იფიქრებს: აქ კამერსანტები-კი არა, ქველ-მოქმედნი ყოფილანო. მაგრამ როდესაც თვით საჭმლის გემოს იხილავს და სიკარგეს გაიგებს, ადვილად მიჰხვდება სიიაფის მიზეზს.

⁂

პარიჟელებს ჭამა-სმაში არც კონგოს მცხოვრებნი ჩამოუვარდებიან (კონგო აფრიკაშია). ძალიან ჰყვარებიათ კონგოელებს კაცის ხორცი. აი რას მოგვითხრობს მოგზაური, ბელგიელი მანდე-გრანსე. „ერთხელ, — სწერს ავტორი — ერთ ადგილობრივ მცხოვრებს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეთ. ჩვენმა კაცებმა ეს გარდაწყვეტილება მალე მოიყვანეს სისრულეში. აიღეს და დამნაშავე დიდ ხის ტოტზედ ჩამოჰკიდეს. პატარა ხანს უკან მოვიდა ჩვენთან თავისის

*) კილოგრამმა დაახლოვებით—$2\frac{1}{2}$ გირვანქაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისის შინაურ აღზრდისათვის არც დედა და არც მამა არაა ჰზრუნავენ. მართალია, ამ გვარად აღზრდას ბავშისას ჩვენ საქართველოს სხვა ადგილებშიაც შევხვდებით, მაგრამ ამ უკიდურესს წერტილამდე აღზრდას, ვგონებ, ჯერ არსად არ მიუღწევია. მაგალითად ავიღოთ ქართლ-კახეთი; იქ უმაწვილი დედ-მამისაგან მეელს ამბებს, არაკებს, სიმღერას მაინც გაიგონებს და აკარჯიშებს თავის ნორჩს გონებას, მაგრამ აქ-კი ეგეც ყოველივე მოსპობილია, გამქრალა, ხალხის პოეზია ლეკების და ადერბეიჯანის თათრებისაგან მთლად შელახულა, ნამეტნავად მუსიკა, ეს ხალხის გამაცოცხლებელი, გამამხნევებელი, სულის ჩამდგმელი და მისის წარსულის ცხადად გამომხატველი ხმა სრულიად გამქრალა.

ქალის ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და ბავშვის ამ გვარი აღზრდა იქამდის შეუთვისებია ძვალსა და რბილში გასჯდომია ხალხსა, რომ ბევრჯელ ოჯახის უფროსნი მამა-კაცნი თავმოწონედ შეჰკვეხენ მეზობლებს: „ისეთი რძალი მოვიყვანე, რომ ჩემთან გერსთან მოსვლას ვერც-კი ჰბედავსო, მისი ხმა არც კი გამიგონია; ბავშვი რომ უტიროდეს, როდესაც მე სახლში ვარ, მაშინვე გარეთ გაარბენინებს, რომ თავი არ მომაბეზრონო“ და სხ. ან კიდევ თავგამოდებით გეტყვით: „შვილი ისე გავზარდე, რომ ხელშიაც არ ამიყვანია, შუბლი არ გამიხსნიაო“. რა საკვირველია, ამ გვარი აღზრდა ბავშვის გამჭრიახს გონებას აჩლუნგებს და მასში ჰნერგავს მხოლოდ შიშსა და მორცხვობას. ეს ასეც არის: ინგილო ბავში სკოლაში მასწავლებელს, როგორც სასტიკს კაცს, ისე უცქერის შიშით და ხშირად პასუხსაც ვერ უბედავს. მასწავლებელი უმაწვილს უყვავებს, მეგობრულად ესაუბრება, მაგრამ ბავშვს, რომელიც შეჩვეულია სულ სხვა გვარს ლაპარაკისას, ესეთი ქცევა მასწავლებლისა ეუცხოვება და გონს ვერ მოსულა. ჩვენის ქვეყნის სხვა ადგილებში უმაწვილი უფრო ადრე უახლოვდება მასწავლებელსა და იქ იმას იმდენი დრო არ უნდება ბავშვი შეიჩვიოს, როგორც საინგილოში.

დედათა სქესის პატივისცემა ხომ ისე შელახულა, რომ მშობიარობის დროს მას სახლში არც-კი აწვენენ; საბრალო უნდა თავლაში წავიდეს და იქ მოიმშობიაროს. მშობიარე ქალს ბევრი მეტი არავინ ეკარება, არც სახლიდგან და არც მეზობლებიდგან, რადგანაც 40 დღემდე მშობიარე დედაკაცთან მისვლა მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნიათ ინგილოებს. მშობიარე დედაკაცი სამს დღეს უნდა იწვეს ლოგინად, რომელსაც შეადგენს: ლეიბის მაგიერ დედა-მიწაზედ გაშლილი ჭილობი და საბნისა—ჯეჯიმი. შობის დღიდგანვე შეუმაგრებელმა და დასუსტებულმა მელოგინემ თავისს თავს თითონვე უნდა მოუაროს: ცეცხლი აინთოს, წყალი გაითბოს, ბავშვსაც და სახლსაც თითონ მოუაროს. ამ ნაირი ჩვეულება ძალიან ცუდად ჰმოქმედობს როგორც დედისა, ისე ჩჩვილი უმაწვილის ჯანმრთელობაზედ. დედათა სქესის ავადმყოფობა უმეტეს ნაწილად ლოგინობიდგანვე მომდინარეობს. სიკვდილის უმრავლესობა უფრო დედათა სქესშია მშობიარობის ხანებში. საინგილოში ხშირად შეჰხვდებით კაცს მეოთხე, მეხუთე ცოლიანს. რადგანაც ეკლესიის კანონით მეოთხე ცოლის შერთვა აკრძალულია, ამიტომ ინგილოებს ამ გვარ შემთხვევაში უკანონო ცოლები მოჰყავთ. ამ რიგად ინგილოებში ქრისტეს სარწმუნოების აქამომდე მოღწევა, ინგილოების თავ-განწირვა და მტერთან მედგრად მათი ბრძოლა მთლად მიეწერება უწინდელ ინგილო-დედებს, რომელნიც მტკიცენი ყოფილან სარწმუნოებაზედ და მამულის სიყვარულით გატაცებულნი. მათ აღზარდეს მამაცი შვილები, აქამდე მოიტანეს ქრისტეს სარწმუნოება და მრავალი ქართული ჩვეულებანი,—სიმღერებისა და ლექსების გარდა, რომლებსაც ლეკები სასტიკად უკრძალავდნენ და ყოველს ღონის-ძიებას ხმარობდნენ, ძალითა თუ დაუკავებით მოესპოთ ქართული ჩვეულებანი და საინგილოში თავიანთი ისლამი შეეტანათ. დღეს-კი ძველი ინგილო დედები სრულიად გადაგვარებულან და მხოლოდ დამონებულსა და დაჩაგრულს არსებას წარმოადგენენ.

გ. ფარადაშვილი

# უცხოეთი

**ჩინეთი.** დიდად გავლენიანი გაზეთი „Berliner Tageblatt“-ი სწერს: „იმ ზომებიდგან, რომელიც რუსეთმა მიიღო ჩინეთის საქმეების გამო, აშკარად სჩანს, რომ რუსეთს აზრადა აქვს პირველობა და ხელმძღვანელობა ჩინეთის საქმეებში არავის დაუთმოს. რუსეთის მთავრობის სიმტკიცეს იმ დროს, როდესაც ევროპიელნი ასეთ განსაცდელში ჩავარდნენ ჩინეთში, ჩვენის აზრით ყველანი სიხარულით უნდა მიეგებნენ. მთავრობის განცხადებიდგანა და რუსულ გაზეთებიდგანა სჩანს, რა თვალით უყურებს რუსეთი ჩინეთის საქმეებს: იგი მხოლოდ დახმარებას უწევს ჩინეთის მთავრობას აჯანყების და არეულობის მოსასპობლად. საკვირველი არ იქმნება, ქვრივმა დედოფალმა რომ აიღოს და ჩინეთში მცხოვრებ ქრისტიანეთა დაცვის საქმე რუსეთს მიანდოს“.

— როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ჩინეთში მცხოვრებ ევროპიელთა აზრით, აჯანყების ჩასაქრობად და წესიერების დასამყარებლად ჩინეთში საჭირო სულ ცოტა 100,000 ჯარისკაცი. აქედგან 50 ათასი კაცი პირდაპირ პეკინში უნდა იქმნას გაგზავნილი. ამას გარდა ნავთ-სადგურებში საჭიროა, სამხედრო გემებმა მანიფესტაცია მოახდინონ. ჩინეთში ხმა გავრცელდა, რომ ყველგან, სადაც-კი შეტაკება მოხდა, ჩინელებმა გაიმარჯვესო და ეს ხმა უფრო აღელვებს და აშფოთებს ხალხს.

— როგორც იუწყებიან, სახელმწიფოებს ჩინეთში ამ ჟამად სულ 15,000 ჯარის კაცი ჰყავთ. აქედგან რუსი 4,500-ია, ინგლისელი—3,200, იაპონელი—3,300 და გერმანელი—1,300. რუსეთი უმთავრესად ეხლა ჯარს, როგორც ამბობენ, ციმბირისა და ამურის სამხედრო ოლქებიდგანა ჰგზავნის. ამ ოლქებში სულ რუსეთს 44 ათას კაცამდე ქვეითა ჯარი ჰყავს, 16 ათასი—კავალერია, 2,500—არტილერია და 220 ზარბაზანი აქვს. კავალერიას შეიძლება 6—8 ათასი ყაზახიც მოემატოს. თუ ამას კვანტუნსა და ჩინეთში მყოფ რუსეთის ჯარს მიუმატებთ, მაშინ საერთო რიცხვი 90,000 კაცამდე ავა.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** როგორც ეხლა გამოირკვა, ინგლისის ჯარი სამხრეთ აფრიკაში ომის დაწყებიდგან დღემდე ისე არც ერთხელ არ დაზარალებულა, როგორც ივნისში (ახალის სტილით) დაზარალდა. პირველ ივნისს ბურებს ტყვედ წაუყვანიათ მთელი ბატალიონი იომანრებისა, 4 ივნისს—შოტლანდიის რაზმის 150 კაცი და წაურთმევიათ 50 ვაგონი, 7 ივნისს მთელი დერბიშირის რაზმი და მეორე ბატალიონი იომანრებისა. ამ თვეში ბურებმა 2000 კაცამდე წაიყვანეს ტყვედ, მოკლული და დაჭრილი კიდევ მეტია.

— იუწყებიან, რომ ტრანსვაალში უკვე შესდგა ქალთა რაზმი ინგლისის ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველადაო. ამ აზრით სამხედრო საკრებულო 12 მაისს შესდგა. წევრებად არჩეულ იქმნენ ქ-ნნი ელოფფი, ნიტლინგი და ჟუბერი. ამ საკრებულოს გარდაეცა რაზმისათვის საჭირო თოფები და რევოლვერები. ქალებმა გამოაცხადეს, რომ იმ უმაწვილმა კაცებმა, რომელთაც იარაღი დაჰყარეს, ქალის ტანისამოსი ჩაიცვან და სახლში ჩვენ მაგიერობა მაინც გასწიონ, ჩვენ-კი ომში წავალთ და ბრძოლის ველზედ იმათ მაგიერობას გავწევთო.

# რუსეთი

სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულ აზრის თანახმად, ამა 1900 წლის 1 ივლისიდგან შემოღებულ იქმნება სახელმწიფო ყიდვა არყისა კურლიანდიისა, ლიფლიანდიისა, ესტლიანდიისა, ვორონეჟისა, კურსკისა, სტავროპოლისა და შავი ზღვის-პირის გუბერნიებში და დონის ჯარის ოლქში.

— ვლადიმირსკის გუბერნიის დაბა შუეში ამ წლის დასაწყისს ვლადიმირის ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა საქმე თორმეტის გლეხისა, სოფელ ერლიკოვის მრევლისა, რომელთაც ის ბრალი ედებოდათ, რომ მოქმედებით უპატიურება მიაყენებინათ ეკკლესიაში თავიანთის სამრევლო მღვდლის მ. იაკობ სმირენსკისათვის, რომელიც ამ ჟამად მღვდლობიდგან გადაყენებულია და დიაკვნად ჰმსახურებს სოფ. ვვედენიაში; ამას გარდა, ოთხს მათგანს, და მათ შორის მნათეს ი. ვ. ტრუხინს, ის ბრალიც ედებოდათ, რომ სიტყვიერად შეურაცხება მიაყენებინათ მღვდლისათვის მის-მიერ ღვთისმსახურების დროს და ლოცვა შეაწყვეტინებინათ. განიხილა რა სასამართლომ ეს საქმე, ყველა ბრალდებულნი უდანაშაულოდ იცნო. ამ განაჩენს არ დაეთანხმა თურმე ბრალმდებლის ამხანაგი და ოთხის ბრალდებულის საქმე განასაჩივრა მოსკოვის სამოსამართლო პალატაში. პალატამ 13 მაისს განიხილა ეს საქმე და იმანაც ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა და ბრალმდებლის ამხანაგის განსაჩივრება უყურადღებოდ დასტოვა. აღნიშნავს რა ამბავს „Сѣвер. Край“, სწერს, რომ არ შეიძლება ამ საქმის ყოველ წვლილის გამოქვეყნება, რადგან ხალხის დაუსწრებლად განიხილა იგი სასამართლომაო. ყოველ შემთხვევაში ის-კი უნდა ვთქვათ, რომ როდესაც ოლქის სასამართლომ განაჩენი წაიკითხა და ყველანი უდანაშაულოდ გამოაცხადა, ხალხი სასამართლოს გარედგან ამ განაჩენს „ურა“-ს ძახილით მიეგება და ისე იყვნენ აღტაცებულნი ჭეშმარიტების გამარჯვებით, რომ ქუდებს მაღლა ისროდნენო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთი გაზეთი მოგვითხრობს: „თუ რამდენად წინ წაიწიეს ქალებმა და რამდენად უთანასწორდებიან ისინი მამა-კაცებს სჩანს, სხვათა შორის, იქიდგანაც, რომ 1899 წელს საფრანგეთის მთავრობას 14 ქალისათვის

---

ოთხის ცოლით იმ სოფლის უფროსი, საიდგანაც ჩამოხრჩობილი იყო. თან უფროსმა და იმისმა ცოლებმა ერთი ქათამი და რამდენიმე კვერცხი მოიტანეს, შემოგვაძლიეს ეს საჩუქარი და გვთხოვეს, ჩამომხრჩვალის გვამი ჩვენ მოგვეცით, უნდა შევჭამოთ. როდესაც ჩამოხრჩობილის გვამის წაღების ნება მივეცით, ერთი ცოლი უფროსისა კატასავით ავარდა ხეზედ და გვამი ძირს ჩამოაგდო. ხუთივენი იქვე დაეცნენ გვამს, ზოგმა ფეხი მოსჭრა, ზოგმა ხელი, ცეცხლზედ შეხანხლეს და მადიანად შეუდგნენ საუზმეს; რაც დარჩათ კიდევ—შინ წაიღეს.

„კონგოში საზოგადოდ კაცის-მჭამლობა ძალიან არის გავრცელებული. ერთხელ ჩვენმა დარაჯმა, ადგილობრივმა მცხოვრებმა, ღამე კაცი მოჰკლა, რომელიც ბანაკში მოიპარებოდა საქურდლად. როდესაც მეორე დღეს, გათენებისას, დარაჯმა გვამს დახედა, ძალიან გაჰკვირდა: მოკლული იმისი მამა აღმოჩნდა. დარაჯი შესწუხდა, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ მამა მოჰკლა, უფრო იმიტომ, რომ არ შეეძლო მამის გვამი ეჭამა: კონგოში მამის ჭამა ჩვეულებად არ არის მიღებული. დარაჯმა ადგა და მამის გვამი თავისსავე სოფლელს მიჰყიდა.

„სოფლებში ხშირად გამოჰყავთ გასასყიდად ზონები, უმეტესად 14—15 წლის ბავშვები. მუშტრები გულმოდგინედ სინჯავენ ასეთ „საკლავს“, სჩქმეტავენ, ხელს უსვამენ იმის გასაგებად, მსუქანია თუ არაო. რაც მსუქანია, მით უფრო ძვირადა ჰფასობს ამ ველურების თვალში ბავშვი. ამისთვის ვაჭარი ხშირად გასასყიდ ბავშვს მთელის კვირაობით ასუქებს, როდესაც საკმაოდ მუშტარი იკრიბება, ბავშვს თავსა სჭრიან, ანაწილებენ და ყველას თავისი წილი მიაქვს. უფრო სასტიკად ეს ველურნი დღესასწაულების დროს იქცევიან: საწყალს მსხვერპლს ქინძისთავით ხელებსა და ფეხებსა სჩხვლეტავენ, შემდეგ წყალში აბამენ. მხოლოდ თავი აქვს ბავშვს ამოშვერილი, ტანი-კი წყალშია. ამ ყოფაშია ბავშვი 12—15 საათს. შემდეგ ჰკლავენ და საჭმელებს ამზადებენ. ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, რომ ასე „მომზადებულის“ კაცის ხორცი ძალიან გემრიელიაო“.

* * *

ამისა რა მოგახსენოთ და ის კი ნამდვილია, რომ საზრდოს კაცის ხასიათზედ დიდი გავლენა აქვს. ამ საგნის შესახებ ერთმა ინგლისელმა მკურნალმა ამას წინად საყურადღებო წიგნი გამოსცა.

ხსენებული მკურნალი ამტკიცებს, რომ ყველაზედ კარგად კაცის ხასიათზედ ხარის ხორცი მოქმედებს: ვინც ასეთის ხორცით იკვებება, ის მხნე, გამბედავი და დაუზარელი კაციაო. სულ სხვანაირად მოქმედებს თურმე ღორის ხორცი: კაცი იმისაგან პესიმისტი ხდება, ბოლოს-კი მელანხოლიაშიაც ვარდება. ასევე მოქმედებს თურმე ხბოსა და ქათმის ხორციც. ვინც ხბოს ხორცს ხშირად ეტანება, ის გაუბედავი და უხასიათო ხდება, ამას გარდა ძარღვები უსუსტდება და სხეულიც იმდენად უძლურდება, რომ ათასგვარი სენი ადვილად უჩნდება.

ამ ექიმის გამოკვლევის გამო ერთი გაზეთი ამბობს, რომ იმ ქალებმა, რომელთაც სასტიკი და მოუსვენარი ქმრები ჰყავთ, ხბოს, ცხვრისა და ქათმის ხორცით უნდა ჰკვებონ ხოლმე თავიანთი ქმრები: მაშინ ადვილად დაასუსტებენ და ადვილად შესძლებენ იმათ დამორჩილებასაო.

ქალებს ინგლისელი მკურნალი რძესა და კვერცხს ურჩევს. იმის გარდა, რომ რძე და კვერცხი ხასიათს უკეთილშობილებს, იგი ფერსაც უკეთებს მათაო, ამბობს მკურნალი.

ძარღვების გასამაგრებლად მკურნალი ყველას კვერცხის ჭამას ურჩევს. დღეში იმას აზრით საკმაოა 5—6 კვერცხი. ვინც ბევრსა მუშაობს, იმისთვის ვაშლია თურმე კარგი: ადვილად აღარ დაიღლება.

ცარიელ თევზს მკურნალი არავის არ ურჩევს. თევზი კაცს სიცოცხლესა და სიმკვირცხლეს უკარგავს თურმე. არც კარტოფილი და მწვანილი ყოფილა კარგი: კარტოფილსაცა და მწვანილსაც სიზარმაცე მოსდევს; ორივე სხვა საზრდოსთან არის თურმე კარგი.

* * *

ამ საგნის შესახებ კამათი სწავლულთა კონგრესსაც ჰქონდა. ეს კონგრესი ამას წინად მოხდა იტალიის დედა-ქალაქ რომში. კონგრესი საზოგადოდ ბევრ საგანს შეეხო და, სხვათა შორის, იმასაც, თუ რამდენად მავნებელია გრძელი ტანისამოსი ქალებისა. ერთი ნემეცური გაზეთი სწერს ამის გამო: „რამდენი ხანია ეჩიჩინებიან ქალებს, რომ გრძელ-კუდიანი ტანისამოსი მავნებელი და საზარალოაო, მაგრამ მაინც ვერაფერი შეასმინეს. ამ შემთხვევაში ქალები საოცარ კონსერვატორობას იჩენენ. თითქმის ყოველ თვე ქალები ახალ მოდას იგონებენ, მაგრამ ამ მოდების შემოღების დროს უყურადღებოდ სტოვებენ იმას, რასაც უფრო ჰიგიენური მნიშვნელობა აქვს: ყველა ახალ მოდას კუდი მაინც თან ახლავს“.

კონგრესმა ერთხმად გაჰკიცხა გრძელი კაბები და განაცხადა, რომ უმთავრესად ამ გვარის კაბების წყალობით ვრცელდება სხვა და სხვა გადამდები სენიო. კონგრესზედ მკურნალ კაზაგრონდის ნათლად დაუმტკიცებია, თუ რა საზარალოა ამ გვარი კაბა. იქვე ყველას თვალ წინ მკურნალს მიკროსკოპით გაუსინჯნია ერთის ქალის „კუდიანი“ კაბა და აღმოუჩენია ზედ მთელი ახალშენები ბაცილებისა და მიკრობებისა. აი ამ თავიანთის კაბებით შეაქვთ ქალებს ქუჩიდგან სახლში ინფლუენციისა, ჰლექისა, სახადისა, ყელჰირვებისა და სხვა სენის ბაცილები და ავადა ჰხდიან საკუთარ ოჯახის წევრებსაო, უთქვამს დასასრულ ექიმს კაზაგრონდის.

ი. ა—ძე

მიუცია პრივილეგია იმათ მიერ ახალ გამოგონებათა გასასაღებლად. აი რა დიდებული რამეები გამოუგონიათ ამ ქალებს. ერთს გამოუგონია განსაკუთრებული ტიკნი, მეორეს ჭურჭელი ყვავილების ჩასადგმელად, ჭურჭელს პეპელის ფორმა აქვს, მესამეს—ახალის ფასონის კანვერტები, მეოთხეს—მალამო დამჭკნარ ყვავილების გასაყვავებლად, მეხუთეს—პირისაბანი, მგზავრობის დროს გამოსაყენებელი; დანარჩენი გამოგონებანი ნაკლებად საინტერესოა“.

* * *

რუსულ ჟურნალ „Рус. Арх.“-ის ივნისის წიგნში დაბეჭდილია შემდეგი: „ამ საუკუნის დასაწყისში პეტერგოფს ჩამოვიდა ქართველი პეტრე ალექსანდრეს ძე კლაპიტონოვი (კლაპიტონაშვილი?). იმ დროს სამეფო ბაღი პეტერგოფში ღია იყო ხოლმე. ბაღში ყველა კარგად ჩაცმულს შეეძლო შესვლა. სხვათა შორის ამ ბაღში შესულიყო პ. ა. კლაპიტონოვი. კლაპიტონოვი გაკვირვებული დადიოდა ბაღში, ათვალიერებდა ქანდაკებებს და დიდად იყო გაკვირვებული ბაღის სიმშვენიერით. ბოლოს სიარულით დაღლილმა, ერთ სკამზედ ხნიერი მანდილოსანი დაინახა. კლაპიტონოვმა ზრდილობიანად თავი დაუკრა და იმავე სკამზედ დაჯდა. მანდილოსანმა ღიმილით ჰკითხა:

— თქვენ, უთუოდ, დიდი ხანი არ არის, რაც აქ ჩამოხვედით?

— გუშინ მოვედი ბატონიშვილთან ერთად და დღესვე გამოვეშურე ამ სამეფო ბაღის დასათვალიერებლად.

— რომელ ბატონიშვილთან?—ჰკითხა მანდილოსანმა.

— ქართველ ბატონიშვილ ოქროპირთან.

— როგორ მოგეწონათ ჩვენი ბაღი, უთუოდ თქვენებურ, სამხრეთის ბაღს ვერცკი შეედრება?

— ოო, რასა ბრძანებთ, მშვენიერება რამ არის! წარმომიდგენია, ეს თუ ასეთია, ის ბაღი როგორიღა უნდა იყოს, სადაც დედოფალი და დიდნი მთავრინანი დასეირნობენ.

— ისინი აქა სეირნობენ ხოლმე,—სთქვა მანდილოსანმა.

— რასა ბრძანებთ?—გაიკვირვა ყმაწვილმა კაცმა.

— რად გიკვირთ? რა არის საკვირველი, რომ დედოფალი აქა სეირნობს?

— ეგ შეუძლებელია,—დაიწყო ცხარედ პეტრე ალექსანდრეს ძემ.—მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ბაღში მხოლოდ ხელმწიფე გამოდის ხოლმე და მამაკაცებთან ერთად დროს ატარებს, როგორც ეს აღმოსავლეთშია. განა შესაძლებელია, ასეთმა ძლიერმა ხელმწიფემ ნება მისცეს მეუღლესა და ქალებს, ისეირნონ ბაღში, სადაც ყოველ ნაბიჯზედ ტიტველა ქანდაკებანია.

— უთუოდ დედოფალი და დიდნი მთავრინანი ამ ქანდაკებებს, როგორც ხელოვნების ნაწარმოებს ისე უყურებენ.

— განა არ შეიძლებოდა ტანისამოსიანი ქანდაკებანი გაეკეთებინათ?

მანდილოსანი ღიმილით წამოდგა და სასახლისაკენ წავიდა. წასვლის წინ კლაპიტონოვმა ზრდილობიანადვე თავი დაუკრა. მხოლოდ ამ დროს დაინახა კლაპიტონოვმა შორი-ახლო მუნდირებში გამოწყობილი კაცები, რომელნიც გაცხარებულნი ხელებს უქნევდნენ. როდესაც მანდილოსანი სასახლეში შევიდა, ეს კაცები მისცვივდნენ კლაპიტონოვს. ერთი უყვიროდა „რა ეშმაკმა მოგიყვანათ აქ?“ მეორე: „ვინა ხართ?“ მესამე: „იცით, ვის ელაპარაკებოდით: ეგ ხომ თვით იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ბრძანდებოდა!“

იდგა კლაპიტონოვი და გაშტერებული შეჰყურებდა ამ გაჯავრებულ ხალხს.

### ქართულის ენის საუნჯის მასალად

(შემდეგი *)

ო

ონჩორი—ორთქლი. ფშ.

ოროვანდი—მც. ქართ.

ოტროველა—უხეიროდ დიდის ტანის კაცი. ქართ.

*) იხ. „ივერია“ № 133.

პ

პეტეტი—ყეყეჩი, სულელი. ქარ.

პენი—ბრწყინვალება, ფერი, ქართ.

პეწენიკი—კოხტა, კოპწია. ქართ.

პირიმზე—მთის მშვენება ყვავილი. წითელი ღერი აქვს და მშრალ კლდეში იცის ამოსვლა, ძალიან იშვიათი საპოვნელია. ბედნიერის წამლად ჰხმარობენ. ფშ.

ჟ

ჟინჟლვა—წვრილი წვიმის მოდენა. ფშ.

ჟინჟლი—თითქო საცერში სცრიანო, იმ გვარი წვიმა. ფშ.

ჟიკჟიკი—ბრწყინვალება, პრიალი. მზე ჟიკჟიკებს.

ჟერნება—რამდენისამე კაცის ერთად ხმამაღლივ მღერა. ფშ.

ჟოლი—малина. ფშ.

ჟრიანტელი—ჟრუანტელი. ფშ.

რ

რისვი—გაზაფხულზედ გაკრეჭილი მატყლი. ფშ.

რქაბუდიანი ან ქორბუდიანი ირემი—ირემი, რომლის რქებს წვერში ერთად ამოსული ხუთი ან ექვსი ტოტი აქვს, ასე რომ შიგ შეიძლება ფრინველმა ბუდე გაიკეთოს. სოფ. ყვარელში (კახეთშია) მონადირე ტურიკომ მოჰკლა ერთი ხარ-ირემი, რომლის რქებსაც ოცდაოთხი ტოტი ჰქონდა. ამ ნაირივე რქა იპოვნეს ქართლში ახალქალაქის ტყეში. ფშ.

რქაფიწალა—სულ რომ ტლუ რქები ექმნება ფიწლის ტოტებსავით. ყვირილობას ერთს ფშაველს მონადირეს ენახა ამნაირი ირემი, არც ერთი ხარი არ მიუშვა ფურებზედაო. ფშ.

თ. რაზიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 ივნისი.

**შანხაი.** პრინცმა ტუანმა ბრძანება გამოსცა, რომ სამხრეთ-პროვინციების ვიცე-კოროლებმა სამხრეთჩინეთის ფლოტი გაამზადონ და შანხაიში მდგომს უცხო-სახელმწიფოთა სამხედრო გემებს თავს დაესხნენ. ნანკინის ვიცე-კოროლმა მოწოდება გამოსცა, რომლითაც აცხადებს, რომ „დიდის მუშტის“ მიმდევარნი ყაჩაღები არიან და უბრძანებს ამავე დროს ყველა წესიერების დამრღვეველს თავი მოჰკვეთონ. სამხრეთ ჩინეთის ვიცე-კოროლებს განზრახვა თურმე აქვთ მოწოდება გამოსცენ და დროებით დამოუკიდებელი თვით-მმართველობა გამოაცხადონ, ვიდრე პეკინში მთავრობა კვლავ უზრუნველყოფილი შეიქმნებოდეს.

როგორც ნამდვილ წყაროდგან შიკრიკის მიერ მოტანილ ამბიდგანა სჩანს, „დიდის მუშტის“ 15 ათასი კაცი და ჯარი პეკინში საელჩოებს თავს დასჰხმია, მაგრამ უკუ-უქცევიათ. იმპერატორისა და ქვრივ იმპერატრიცას ამალა ახლა მთლად „დიდის მუშტის“ წევრები არიან. იმპერატორის პრინცებმა სასახლეში საკურთხეველი გაიმართეს და ღმერთს „დიდის მუშტის“ წესისამებრ სცემენ თაყვანსა. შეერთებული ჯარები ტიან-ძინის ადგილობრივს ჯარს თავს დაესხნენ. ჯარებს აზრადა ჰქონდათ ქალაქის გამაგრებული კედლები დაენგრიათ, რადგანაც უცხოელებს ტყვიას უშენდნენ.

ტაკუ. ადმირალმა ალექსეევმა და სეიმურმა სამხედრო ბჭობის დროს გარდასწყვიტეს, რომ, თუ მეტი ჯარები არ გვეყოლა, შეუძლებელია რაიმე ვიღონოთ პეკინის განსათავისუფლებლადაო, რადგანაც შეერთებულ ჯარების რიცხვი ახლა სულ 20,000-ია და ტიან-ძინსა და პეკინში-კი ჩინეთს 140,000 ჯარის-კაცი ჰყავსო. გენერალი ნიეხი ტიან ძინზედ მიდის 90,000 ჯარის-კაცით.

**იოკაჰამა.** სეულიდგან ჩემულპომდე რკინის გზა უკვე მზად არის.

**ვენა.** როგორც იუწყებიან, პეკინიდგან მოსულმა კაცმა განაცხადა, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ავსტრიის საელჩო დანგრეული უნდა იყოსო; ავსტრიის რაზმი შეეფარა ინგლისის საელჩოში, რომელსაც ყუმბარებს ესვრიან; სურსათი და საომარი მასალა შემოაკლდათ. გადარჩენა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

**ჰააგა.** როგორც ჰოლანდიის ელჩის შანხაიდგან მოსულ დეპეშიდგანა სჩანს, ჰოლანდიის საელჩოს სადგომი დანგრეულია. ტიან-ძინში მყოფი ჰოლანდიის ელჩი დეპეშით იუწყება, რომ რობერტ კარტის და ერთის ფრანგის ქალის პეკინიდგან გამოგზავნილ წერილებში აღნიშნულია ის, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ევროპიელნი. თხოულობენ, რომ დაუყოვნებლივ შემწეობა აღმოუჩინოთ. ჩინელებმა გააფუჭეს საიმპერატორო არხი და წყალი ტიან-ძინზე მიუშვეს უთუოდ იმ აზრით, რომ ამით ჯარებს პეკინში წასვლა შეუშალონ.

### წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-106 №-ში ახალ ამბად დაბეჭდილია გორის მაზრის სოფ. ბეკამის შესახებ: ამ სოფელში სასწავლო წლიდგან დაიწყებს მოქმედებას ერთ კლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა, რომლის დაარსება სოფლელთაგან გარდაწყვეტილ იქმნა გორის და დუშეთის მაზრების საეკკლესიო სკოლების მეთვალყურის არქიმანდრიტის მამა დოსითეოსის მეოხებით. ამ რამდენისამე კვირის წინად მობრძანდა სოფელ ბეკამს მამა დოსითეოსი და შეკრებილს ხალხს მამა-შვილური დარიგება მისცა სკოლის აუცილებელ საჭიროების შესახებ. ხალხმა ამ დარიგების წყალობით ერთ-ხმად გარდასწყვიტა დააარსონ ერთ-კლასიანი საეკკლესიო სკოლა სოფ. ბეკამში. სკოლა დაარსებული იქმნება იმ შენობაში, რომელიც თავად აბაშიძემ შესწირა სასულიერო განათლების საქმეს. სოფელი გადიხდის სკოლის სასარგებლოდ ყოველ წლივ ორმოც თუმანს. საღმრთო სჯულის მასწავლებლად იქმნება ამ სკოლაში ადგილობრივი მოძღვარი მ. დავით (?) ციცქიშვილი“.

ჭეშმარიტების აღსადგენად ვაცხადებ რომ მართალია, დიდი ხნის გულის წადილი ჩვენი თითქმის სისრულეში მოგვყავს. დიდად პატივცემულ კნეინა ქეთევან აბაშიძის ასულ ამირეჯიბის მეოხებით, რომელმაც გვცა პატივი და დაგვითმო ქვითკირის შენობა თავისის ეზოთი სასულიერო-განათლების საქმისათვის წესიერის საბუთის ქაღალდითა. ეს ქაღალდი წარვუდგინეთ 28 ივლისს 1899 წელს საეპარქიო ზედამხედველს ბ-ნს ნ. გ. ტატიშვილს. შემდეგ თებერვლის პირველ რიცხვებში სასოფლო კანცელარიაში ყრილობა იყო ადგილობრივ ბოქაულის თანადასწრებით და საზოგადოებამ ხანგრძლივის თათბირის შემდეგ, დაადგინა სასწავლებელი დააარსოს და მისს სასარგებლოდ იხადოს ყოველმა კომლმა ერთი მანეთი და დაუქირაონ ერთი მოსამსახურე. რაც შეეხება გორისა და დუშეთის მაზრების საეკკლესიო სკოლების მეთვალყურეს მამა არქიმანდრიტ დოსითეოსს, სოფ. ბეკამში არ მობრძანებულა, არც ყრილობას უნახავს თვალით. შემდეგისათვის-კი, იმედი გვაქვს, უყურადღებოდ არ დაგვტოვებს.

ადგილობრივი მღვდელი
იოანნე ციცქიშვილი

### სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

27 ივნისი

საქმე ილია დიმიტრის ძის თუხარელისა, რომელსაც ბრალად ედება ხუთის კოდის ხორბლისა და სამის კოკის ღვინის მოპარვა.

საქმე სანდრო ყარაშვილისა, რომელსაც კაცის სასიკვდილოდ დაჭრა ჰბრალდება.


## განცხადებანი



თვით-მოძრავი ელევატორი ხან-აგოვისა.

ასეთს ელევატორს დღე და ღამ განუწყვეტლივ ააქვს წყალი თავის-თავად ქვემოდგან ზევით. იგი საუცხოვოა მინდვრებისა და ბაღების სარწყავად.

მსურველმა ამ ადრესით უნდა მიჰმართოს:

Л. Е. Ханъ-Агову, Тифлисъ, Петербургская улица, № 12.

(15—102—13)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо
М. МИРИМАНЯНА.
Тифлисъ. Дворцовая ул.
(28—б.—28)

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) უკვდავთა ღაღადებანი
ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) ქართული მწერლობა მე-X საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.

გ) Царица Тамара, ფასი 50 კ.

დ) Груз. обители внѣ Грузіи, ფ. 25 კ.

ე) Истор. груз. церкви, ფ. 40 კ.

(20—უ.—11)

ა.

1892 და 1899

(30—44—29)

(4—4)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური
ბორნო-ტიმოლის საპონი
პროვიზორის
გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (4 5.—13)